სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

76349162552521

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210962654

რეგისტრაციის თარიღი

06.09.2021 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ექვს სექტემბერს, მე-ნოტარიუს ია ყიფიანს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ქალბატონმა **ნათია შავდიამ** (დაბ. 29.09.1957 წელს, პირადი № 01008001517, რეგისტრირებული თბილისი დიმიტრი არაყიშვილის ქ. N 2/37 ბ. 111).

მან განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ქალბატონ **მაია ღოღორიას** (დაბ. 19.10.1966 წლის, პირადი № 01024006528 რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ოთარ ჭილაძის ქუჩა, N 166, კორპუსი 11, ბინა 54). მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაერთი წლის ექვს სექტემბერს, ქალბატონმა **ნათია შავდიამ** (დაბ. 29.09.1957 წელს, პირადი № 01008001517, რეგისტრირებული თბილისი დიმიტრი არაყიშვილის ქ. N 2/37 ბ. 111) -შემდეგში "მარწმუნებელი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა ქალბატონ **მაია ღოღორიას** (დაბ. 19.10.1966 წლის, პირადი № 01024006528 რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ოთარ ჭილაძის ქუჩა, N 166, კორპუსი 11, ბინა 54)-შემდეგში "რწმუნებული"

წარმოადგინოს მარწუნებლის ინტერესები საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მათ შორის: ს.ს. "თიბისი ბანკში", ს.ს. "საქართველოს ბანკში", ს.ს. "პროკრედიტ ბანკში", ს.ს. "ბანკი ქართუ"-ში. მართოს და განკარგოს მარწუნებლის ანგარიშები/ანაბრები შეუზღუდავად: აწარმოოს შემოსავლის, გასავლის, გადარიცხვის და სხვა საბანკო ოპერაციები, გააფორმოს ხელშეკრულებები ბანკი კლიენტის, ინტერნეტ ბანკის და სხვა ყველა საბანკო მომსახურების პაკეტებთან დაკავშირებით. მიიღოს ინფორმაცია ანგარიშებზე არსებულ თანხებზე, ამონაწერები ანგარიშებიდან, განახორციელოს მასზე კანონით ნებადართული ყველა მოქმედება. საჭიროების შემთხვევაში გახსნას მარწმუნებლის სახელით ახალი ანგარიშები/ანაბრები, მართვისა და განკარგვის უფლებით ან დახუროს ისინი. იყოს ყველა საბანკო დაწესებულებაში პირველი ხელმომწერი პირი.

რწმუნებული აგრეთვე უფლებამოსილის იყოს მარწმუნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კომპეტენტურ ორგანიზაცია-დაწესებულებებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, სამოქალაქო რეესტრში, საჯარო რეესტრში, იუსტიციის სახლში, ფინანსთა, შსს და იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებებში, შემოსავლების სამსახურში, საბელმწიფო არქივებში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, მუნიციპალიტეტის მერიაში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ბუნებრივი აირის-შპს "თბილისი ენერჯი", ელექტროენერგიის - ს.ს. "ტელმიკო", წყალმომარაგების – შპს "ჯორჯიან უათერ ენდ ფაუერი", ინტერნეტპროვაიდერი – შპს "კავკასუს ონლაინი", "სილქნეტი" და ა.შ , შპს "სილქნეტში", "კაუკასუს ონლაინში" ნებისმიერი სხვა საბელმწიფო და არასაბელმწიფო ორგანოებში, მისი კუთვნილი დოკუმენტაციის გაფორმებისას, ხელი მოაწეროს მარწმუნებლის მაგიერ ნებისმიერ ხელშეკრულებას, თანხმობას და განცხადებას. რწმუნებული პირი აგრეთვე უფლებამოსილია განახორციელოს მარწმუნებლის კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონების ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზის შესწორება, ცვლილების შეტანა სარეგისტრაციო მონაცემებში, მიწის გამიჯვნა, გაყოფა, შერწყმა და ა.შ. მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტაცია, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის ნაცვლად,

ესრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესასრულებლად.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერ მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს სამი წლის მოქმედების ვადით.

მინდობილობა ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31-ე და მე-7 -მუხლის საფუძველზე-10.00 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე-2 ლარი-ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-1.80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად. სულ 13.80 ლარი

ნოტარიუსი ია ყიფიანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211017668
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.09.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის ასლის დამოწმება**
ნოტარიუსი ია ყიფიანი	**ია ყიფიანი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	65182738510821

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

2021 წლის 15 სექტემბერს, მე ნოტარიუსს ია ყიფიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში მომმართა: ქალბატონმა **მაია წოწორიამ** (დაბ. 19.10.1966 წელს, პირადი # 01024006528)

წარმოადგინა ჩემს - ნოტარიუს ია ყიფიანის მიერ 06.09.2021 წელს, რეესტრი N210962654-ით (ინდ. #76349162552521) დამოწმებული რწმუნებულება/მინდობილობა და მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისობის (იდენტურობის) სანოტარო წესით დამოწმება წარმოდგენილ დედანთან.

ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად და/ან შინაარსობრივად).

მე, ნოტარიუსი ვამოწმებ ამ ფოტოასლის სრულ შესაბამისობას წარმოდგენილ დედანთან. დოკუმენტი დამოწმებულია 6 (ექვსი) ეგზემპლარად, თითოეული 4 (ოთხი) გვერდად.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე - 12.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 2.16 ლარი, ჯამში: 14.16 ლარი.

ნოტარიუსი ია ყიფიანი



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220498783
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.05.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია წიკლაური
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი წერეთლის 55
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 35-21-19
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	79183454453522

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თანხმობა

მე, ქვემორე ხელისმომწერი, თენგიზ ნასარაია, პ/ნ 01021007777, თანახმა ვარ შპს-მ "სამედიცინო ცენტრი ციტო", ს/ნ 204888461, განათავსოს სარეკლამო აბრა, ბანერი, განახორციელოს გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული სამუშაოები ჩემი კუთვნილი უძრავი ქონების ფასადზე, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. N#9, პირველი სართული, კომერციული ფართი #3 (მშენებარე) (საკადასტრო კოდი # 01.10.06.014.016.01.02.003) და აიღოს შესაბამისი ნებართვები. აღნიშნულ მისამართზე განთავსებული უძრავი ქონება წარმოადგენს ჩემს საკუთრებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია არა მაქვს, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელისმოწერით.

წავიკითხე თენგიზ ნასარაია

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის სამ მაისს მე, ნოტარიუსს, მაია წიკლაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი #55, მომმართა მოქალაქე **თენგიზ ნასარაიამ**, დაბ. 22.09.1967 წელს თბილისში, რეგისტრირებულმა: თბილისი, ალექსი გოგოლაურის I შეს. N5, ბ. 20-ში, მისი პირადობა დადგენილია თანახმად წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით 13IG09744, პ/ნ 01021007777, გაც. 26.08.2014 წელს იუსტიციის სამინისტროს მიერ.

მან მოითხოვა თანხმობის ტექსტის შედგენა და მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, ვადასტურებ, რომ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლინების ნამდვილობაში, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ ხელმომწერმა განაცხადა, რომ წინამდებარე ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. ხელმოწერა შესრულდა ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით. ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე ტექსტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე.

ამ სანოტარო აქტის დამოწმებისთვის გადახდილია საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების #507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31, პუნქტი 3-ით - 2 ლ 00 თ. პუნქტი 14-ით - 1 ლ 00 თ. მუხლი 39, პუნქტი 1-ით - 2 ლ 00 თ. დამოწმდა ერთ ეგზემპლარად. სულ 5 ლ 00 თ.

ნოტარიუსი